ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2024 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრებოდა13 433.7 ათასი ლარით, განვლილ ცხრა თვეში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის წლიური შემოსულობები გაიზარდა 14 608,4 ათასი ლარით, მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი გრანტების ხარჯზე 12 017,4 ათასი ლარით; საკუთარი შემოსავლების მათ შორის ქონების გადასახადის ხარჯზე 2 591,0 ათასი ლარით და განისაზღვრა 28 042,1 ათასი ლარით, მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბრის თვის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა კი განისაზღვრა 23 922,2 ათასი ლარით, ფაქტიურად მუნიციპალიტეტმა განვლილ ცხრა თვეში მიიღო სულ 24 488,0 ათასი ლარის შემოსულობები ე.ი.მთლიანი შემოსულობების გეგმა შესრულებულია 102,4 %-ით, ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობების გეგმა შესრულებულია 122,3 %-ით ამასთან, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მუნიციპალიტეტმა მიიღო 9 497,8 ათასი ლარით მეტი შემოსულობები,(2023 წლის ცხრა თვეში მიღებული გვქონდა 14 990,2 ათასი ლარი.) რაც გამოწვეულია გადასახადებიდან და გრანტებიდან მიღებული შემოსავლების გაზრდით. მიმდინარე წელს 2024 წლის წლიური ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა შესრულებულია 87,3%-ით **(დან. N 1 XL).**

1. გადასახადებში მუნიციპალიტეტს საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი 10 658,8 ათასი ლარიდან მიღებული აქვს 12 610,4 ათასი ლარი, მათ შორის:

ქონების გადასახადი 3 640,0 ათასი ლარის ნაცვლად 5 534,0 ათასი ლარი, აქდან სახელმწიფო საწარმოთა ქონების გადასახადი 4 962,1 ათასი ლარი; უცხოურ საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 563,1 ათასი ლარი, მიწის გადასახადი ორივე სახეში ჯამში 8,8 ათასი ლარი;

დამატებული ღირებულების გადასახადი მიღებული გვაქვს 7 076,4 ათასი ლარი, გადასახადების ცხრა თვის გეგმა შესრულებულია 118,3 %-ით და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ფაქტიურად მიღებული გადასახადები გაზრდილია 4 505,4 ათასი ლარით.

2. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულია გრანტები 9 519,8 ათასი ლარი. მათ შორის:

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან (ევროკავშირი; გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება) 84,5 ათასი ლარი;

მიზნობრივი ტრანსფერი მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორ ციელებლად (მოსწავლეთა ტრანსპორტირება, საზჯანდაცვა; არასრულწლოვანთა დახმარება) 873,5 ათასი ლარი;

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 6 148,3 ათასი ლარი; **სოფლის მხარდამჭერი პროგრამიდან** 845,0 ათასი ლარი; **მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან** 443,8 ათასი ლარი; **სპეციალური ტრანსფერი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ** 659,3 ათასი ლარი და **კაპიტალური გრანტი საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებისათვის** 550,0 ათასი ლარი. სულ მიმდინარე წლის ცხრა თვეში მიღებული გრანტები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზრდილია 2 193,0 ათასი ლარით.

3. სხვა შემოსავლების ცხრა თვის გეგმა განისაზღვრა 1 340,0 ათასი ლარით, ფაქტიურად კი მიღებულია 2 242,9 ათასი ლარი, 167,4 %, წინა წელთან შედარებით 1 695,3 ათასი ლარით მეტი, აღნიშნული შემოსავლების ყველა სახეში, მათ შორის ჯარიმებშიც უკვე შესრულებულია როგორც ცხრა თვის ასევე წლიური გეგმები.

სწორი მენეჯმენტის განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა კომერციული ბანკიდან მიღებული პროცენტების თანხა და შეადგინა 242,0 ათასი ლარი,; ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი მიღებულია 45,8 ათასი ლარი; შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 65,1 ათასი ლარი. სანებართვო მოსაკრებელი 6,8 ათასი ლარი; დასუფთავების მოსაკრებელი 101,0 ათასი ლარი.

4. **არაფინანსური აქტივების კლებიდან** შემოსულობები დაგეგმილი 150,0 ათასი ლარიდან ცხრა თვეში მიღებულია 30,4 ათასი ლარი

5. **2024 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების** 2 965,8 ათასი ლარის ნაშთიდან მიმდინარე წლის გადასახდელების დასაფარად გამოყენებულია 2 879,0 ათასი ლარი მ.შ. 1 384,2 ათასი ლარი სახელმწიფო ფონდებიდან და 1 494,8 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2024 წლის დამტიცებული ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში განისაზღვრებოდა 14 928,5 ათასი ლარი, ბიუჯეტის დამტკიცების დროს ხარჯების დასაფინანსებლად უკვე გამოყენებული იყო მოსალოდნელი საკუთარი სახსრების ნაშთი 1494,8 ათასი ლარი. წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებებით დაზუსტებული ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში შადგენს 30 921,1 ათასი ლარს, გეგმა გაზრდილია 15 992,6 ათასი ლარით. მიმდინარე წლის ცხრა თვეში დაგეგმილი გადასახდელების 26 803.5 ათასი ლარიდან ფაქტიურად დაფინანსებულია 20 223,9 ათასი ლარის ხარჯი, 75,5%. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მიმდინარე წლის ცხრა თვეში გაწეულია 4 143,7 ათასი ლარით მეტი ხარჯი, 2023 წლის ცხრა თვეში გაწეული იყო 16 080,2 ათასი ლარის ხარჯი. **(დან. N 1 XL)**

1. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები დაფინანსებულია 90,1%-ით. მ.შ. მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესანახ ხარჯებზე ცხრა თვეში დაგეგმილი 843,8 ათასი ლარიდან გაწეულია 809,7 ათასი ლარი და დაფინანსებულია 96,0%; მუნიციპალიტეტის მერიის შესანახი ხარჯები დაგეგმილი 2 828,7 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 2 638,5 ათასი ლარი 93,3%;

კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი დაგეგმილი 15,0 ათ. ლარიდან ათვისებულია 6,5 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან მერის ბრძანებით გამოყოფილია 46.7 ათასი ლარი, მათ შორის: 7.2 ათასი ლარი მიმართულია სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების გასაწმენდად და შესაკეთებლად. 39,5 ათასი ლარი მიმართულია სოციალური დაცვაზე, აქედან სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარებაზე 26,5 ათასი ლარი; ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე 10,0 ათასი ლარი; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა დახმარებაზე 0,5 ათასი ლარი და სტიქიის შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფაზე 2,5 ათასი ლარი.

ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მუნიციპალიტეტმა მუნიციპალური განვითარების ფონდს გადაურიცხა კუთვნილი სავადო გადასახდელი 31,1 ათასი ლარი, აქედან 25,5 ათასი ლარი სესხის და 5,6 ათასი ლარი პროცენტის სახით.

2. ინფრასტრუქტურის განვითრებაზე 2024 წლის ცხრა თვის შედეგების მიხედვით გეგმით გათვალისწინებული 13 709,5 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 8 591,3 ათასი ლარი, 62,7 %-ი. აქედან: **გზების კაპიტალურ შეკეთებაზე** მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი 9 488,0 ათასი ლარიდან ფაქტიურად გაწეულია 6 517.7 ათასი ლარი, აქედან 6 254.7 ათასი ლარი სახ. ფონდებით და 263.0 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით. მ. შ. საქართველოს მთავრობის 2023 წლის N 2402 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან

შესასრულებელ სამუშაოებზე დახარჯულია 5 648.3 ათასი ლარი; აღნიშნული განკარგულებით ფინანსდება ოცდათოთხმეტი პროექტი, შესასრულებელი პროექტები ძირითადად არის მრავალ წლიანი და მთლიანად დასრულდება მომავალ 2025 წელში.

საქ.მთავრობის 2023 წლის N 2400 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ 145.0 ათასი ლარი; საქ. მთავრობის 2024 წლის N 550 განკარგულებით მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ფონდიდან 422.3 ათასი ლარი და მოხმარდა სოფელ წიფაში საუბნო გზისა და სოფელ ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულში საუბნო გზების რეაბილიტაციას; საქ. მთავრობის N 615 განკარგულებით 18.5 ათასი ლარი. ხოლო სახელმწიფი ბიუჯეტის ფონდების დანარჩენი 20.5 ათასი ლარი მიმართულია წინა წლების განკარგულებების ნაშთებიდან გაცემული საგარანტიობის თანხების დასაფარად.

გზების მიმდინარე შეკეთებაზე დაგეგმილი 161.7 ათასი ლარიდან დახარჯულია 32.0 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად მუნიციპალიტეტის საკუთარი სახრებით არის გაწეული.

ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაციაზე დაგეგმილი 529.0 ათასი ლარიდან ცხრა თვეში გაწეულია 75.6 ათასი ლარი, მათ შორის 68,1 ათასი ლარი სახელმწიფო ფონდებით, აქედან საქ. მთავრობის N 615 განკარგულებით 64,5 ათასი ლარი; საქ. მთავრობის N 2400 განკარგულებით 3,6 ათასი ლარი და მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით 7,5 ათასი ლარი.

მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად დაგეგმილი 117,5 ათასი ლარიდან ფაქტიურად ათვისებულია 78,5 ათასი ლარი. განვლილ ცხრა თვეში მუნიციპალიტეტის მიერ დაქირავებული მიკროავტობუსები რეისებს ასრულებდნენ სხვადასხვა მიმართულებებით, მათ შორის:

1. სოფელ ნადაბურიდან სოფელ ხევის, ბორითის, უბისის, სარგვეშის და ბაზალეთის გავლით ხარაგაულამდე; 2. სოფელი ზვარე -ხარაგაული; 3.დაბა ხარაგაული-თეთრაწყარო-კიცხი;
4. სოფელ გედსამანიიდან სოფელ ხუნევის გავლით სოფელ ხევამდე და ხევიდან ახალი ავტობანის გავლით სოფელ ვერტყვიჭალამდე, შემდეგ სოფელ ვერტყვილის, საქასრიის, ბორითის, მაქათუბნის გავლით სოფელ უბისამდე და უკან სოფელ ხევამდე; 5. სოფელ ნუნისიდან სოფელ ჩრდილისა და სოფელ ზვარეს გავლით მოლითის ადმინისტრაციულ ცენტრამდე; 6. ხარაგაული-სხლითი-ვანი-საღანძილე-დაბა ხარაგაული; 7.სოფეელი ვახანი-სადგურის ვახანისწყალი; 8. ხარაგაული-საღანძილე-დიდვაკე-ლეღვანი-დიდვაკე-საღანძილე-ხარაგაული; 9. წყალაფორეთი-ვარძია-ხიდარი-კიცხი-დაბა ხარაგაული.

წყლის სისტემის განვითარებაზე ცხრა თვეში დაგეგმილი 1 247,2 ათასი ლარიდან ფაქტიურად გაწეულია 749,4 ათასი ლარი. მათ შორის უშუალოდ სასმელი წყლის სისტემის მოსაწესრიგებლად გაწეულია 18,0 ათასი ლარი, ხოლო სანიაღვრე არხების და მდინარეების ნაპირსამაგრების მოწყობაზე 731,4 ათასი ლარი, აქედან 704,8 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდის ხარჯზე. აღნიშნული პროგრამით საქ. მთავრობის N 116 და N 2400 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი სახსრებით მოეწყო საყრდენი კედლები, ასევე საქ. მთავრობის N 1025 განკარგულებით გაიწმინდა მდინარე ჯიხველას კალაპოტი.

გარე განათების სუბსიდირებაზე დაგეგმილი 419,3 ათასი ლარიდან დახარჯულია 253,4 ათასი ლარი;

მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციაზე 261,7 ათასი ლარიდან ათვისებულია 35,7 ათასი ლარი, აღნიშნული სახსრები მოხმარდა სოლომონ მეფის ქუჩაზე მრავალბინიანი სახლის საპროექტო და გადახურვის სამუშაოებს.

კეთილმოწყობაზე დაგეგმილი 185,0 ათასი ლარიდან ფაქტიურად გახარჯულია 55,3 ათასი ლარი, სოფელ საღანძილესა და სოფელ ვარძიაში სკვერების მოსაწყობად.

სოფლის მხარდამჭერი პროგრამის 2024 წლის ბიუჯეტი განსაზღვრულია 1 071,4 ათასი ლარით, აღნიშნული პროგრამით ფინანსდება 44 პროექტი და ცხრა თვეში გაწეულია 793,7 ათასი ლარის ხარჯი, აქედან 97,9 ათასი ლარი ბიუჯეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრების თანადაფინანსებით. საქ. მთავრობის N 2401 განკარგულებით სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი 890,0 ათასი ლარიდან 693,4 ათასი ლარი და წინა წლები სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ნაშთიდან 2,4 ათასი ლარი. სულ ინფრასტრუქტურის განვითარებაზე გასული წლის ცხრა თვესთან შედარებით გაწეულია 2 597,4 ათასი ლარით მეტი. 2023 წლის ცცხრა თვეში ინფრასტრუქტურის განვითარებას 5993,9 ათასი ლარი მოხმარდა.

დასუფთავება და გარემოს დაცვაზე ცხრა თვეში დაგეგმილი 1 573,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 1 430,8 ათ. ლარი, 90,9 %. მ. შ დასუფთავებისა და ნარჩენების გატანაზე 1 381,9 ათასი ლარიდან 1 252,9 ათასი ლარი; მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე 183,0 ათასი ლარიდან 171,4 ათასი ლარი; უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებების ხარჯებში 9,0 ათასი ლარიდან 6,5 ათასი ლარი;

3. განათლებაზე 2024 წლის ცხრა თვეში გათვალისწინებული 2996,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 2 756,2 ათასი ლარი და დაფინანსებულია 92,0 %. მ.შ.სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებაზე 1 817,5 ათასი ლარიდან დახარჯულია 1762,9 ათასი ლარი; სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციაზე 5,3 ათასი ლარი; მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურეობაზე 820,6 ათასი ლარიდან 724,7 ათ. ლარი;

ზოგადი განათლების ხელშეწყობაზე (ბორის საჯარო სკოლის პანსიონური მომსახურება) გაწეულია 94,6 ათასი ლარის ხარჯი. სკოლისგარეშე განათლების ხელშეწყობაზე (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი) 173,0 ათასი ათასი ლარიდან 168,7 ათასი ლარი.

4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტზე დაგეგმილი 2 336,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 1 877,0 ათასი ლარი, დაფინანსებულია 80,3%-ით და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დაფინანსება გაზრდილია 314,8 ათასი ლარით, 2023 წლის ცხრა თვეში აღნიშნულ პრიორიტეტზე 1562,2 ათასი ლარი იქნა დახარჯული. მ. შ. სპორტის განვითარებას მიმდინარე წლის ცხრა თვეში მოხმარდა 720,1 ათასი ლარი, აქედან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე დახარჯულია 8,4 ათასი ლარი; სპორტის ხელშეწყობაზე 464,6 ათასი ლარი; სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა 247,1 ათასი ლარი, მ.შ. 167,2 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან და 79,8 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით. საქ. მთავრობის N 2402 განკარგულებით მოეწყო მინი მოედანი სოფელ თეთრაწყაროში; ასევე სოფელ ღორეშასა სოფელ მაქათუბანში მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით მოეწყო სპორტული მოედნები.

კულტურის სფეროს განვითარებაზე დაგეგმილი 1087,4 ათასი ლარიდან დახარჯულია 1014,3 ათასი ლარი, 93,3 %-ით. აქედან: სახელოვნებო განათლების ხელშეწყობაზე დაიხარჯა 164,1 ათასი ლარი; კულტურის, ხელოვნების და ტურიზმის ხელშეწყობაზე 824,9 ათასი ლარი; ფოლკლორის ხელშეწყობის დაფინანსებაზე 18,8 ათასი ლარი; კულტურული ღონისძიებების დაფინანსებაზე 6,5 ათასი ლარი; მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების პროგრამაზე 68,5 ათასი ლარი; რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობაზე გადარიცხულია 68,0 ათასი ლარი; ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე 2,0 ათასი ლარი;

6. ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფის პროგრამაზე მიმდინარე წლის ცხრა თვეში დაგეგმილი 2 315,5 ათასი ლარიდან დაიხარჯა 2 082,3 ათასი ლარი და დაფინანსებულია 89,9 % - ით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ამ პრიორიტეტს 674,1 ათასი ლარით მეტი მოხმარდა, 2023 წლის ცხრა თვეში 1 408,2 ათასი ლარი იქნა გაწეული.

აქედან:
საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე დაგეგმილი 195,4 ათასი ლარიდან დახარჯულია 190,5 ათასი ლარი, მ. შ. 133,0 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერით, ხოლო 57,4 ათასი ლარიმუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით.
სოციალური დაცვის პრგრამებით 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი განისაზღვრებოდა 1705,7 ათასი ლარი, წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შემდეგ აღნიშნული პროგრამა გაიზარდა 1 020,5 ათასი ლარით და განისაზღვრა 2 726,2 ათასი ლარი. მათ შორის სოციალურ პროგრამებში თვითმმართველობის სარეზერვო ფონდიდან მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით გამოყოფილი იქნა 39,5 ათასი ლარი; მიზნობრივი ტრანსფერით 15,0 ათასი ლარი და 187,3 ათასი ლარი გამოყოფილი იქნა საქართველოს მთავრობის N 2400 განკარგულებით სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლებისათვის მასალების (თუნუქი და ხე-მასალა) შესაძენად 396,0 ათასი ლარი. სულ ცხრა თვეში დაგეგმილი 2 117,2 ათასი ლარიდან ათვისებულია 1891,8 ათასი ლარი, 89,4 %. აქედან:
სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების ქვეპროგრამით ისარგებლა 796 ბენეფიციარმა და დაგეგმილი 434,0 ათსი ლარიდან ანგარიშსწორება მოხდენილია 433,9 ათას ლარზე. აქედან 26,2 ათასი ლარი მიიმართა სარეზერვო ფონდიდან. გეგმა შესრულებულია 100 %-ით.
შშმ პირთა დახმარების ქვეპროგრამის 9 თვის გეგმა განისაზღვრა 61,7 ათასი ლარით, დაიხარჯა 58,5 ათასი ლარი - 94,8 %, ქვეპროგრამით ისარგებლა 87 ბენეფიციარმა.

ერთჯერადი ფინანსური დახმარების ქვეპროგრამით 9 თვეში დაგეგმილი 474,9 ათასი ლარიდან ფაქტიურად დახარჯულია 384,2 ათასი ლარი- 80,9 %. ეკონომია ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ კომისიის სხდომა ჩატარდა კვარტლის მიწურულს და ბრძანება გამოიცა ოქტომბრის დასაწყისში. დაკმაყოფილდა 1688 განცხადება. სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 10,0 ათასი ლარი.

ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება _ გეგმა ათვისებულია 85 %-ით. დაიხარჯა 30,6 ათასი ლარი (გეგმა 36,0 ათ. ლარი), ლეიკემიის პროგრამაში ჩართულია 3 პირი, დიალიზის პროგრამით მოსარგებლეა 17 ბენეფიციარი.

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამაში 9 თვის გეგმა განისაზღვრა 33,0 ათასი ლარით, დახარჯულია 25,3 ათასი ლარი - 76,7 %. ამ დროისთვის განუხილველი განცხადება არ არის. დაკმაყოფილდა 58 განცხადება.

მარტოხელა მშობლების დახმარების გეგმა განისაზღვრა 16,0 ათასი ლარით, დახარჯულია 13,1 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 81,8 %-ით. ყოველთვიურად მოსარგებლეა 22 მარტოხელა მშობელი.

მარჩენალდაკარგულთა დახმარების ქვეპროგრამაზე 9 თვეში დაიგეგმა 37,0 ათასი ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 34,5 ათასი ლარი. გეგმით გათვალიწინებული თანხა ათვისებულია 93,1 %-ით. დაკმაყოფილდა 52 განცხადება.

ყოველთვიური დახმარების ქვეპროგრამით გათვალისწინებული იყო 62,0 ათ. ლარი. ათვისებული იქნა 52,4 ათასი ლარი. ქვეპროგრამა მოსარგებლეა 92 ბენეფიციარი.

ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამის მოსარგებლეა 6 ბენეფიციარი_ დახარჯულია 5,0 ათასი ლარი.

ხანდაზმულთა დახმარების ქვეპროგრამა - გეგმა 3,0 ლარი, ფაქტიურად დახარჯულია 2,0 ათასი ლარი. მოსარგებლეა 2 პირი.

სადღესაწაულო დღეების დახმარების გეგმა იყო 63,6 ათასი ლარი, დახარჯულია 63,5 ათასი ლარი, სხვადასხვა სახის დახმარება გაიცა 666 პირზე.

სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება _ გეგმა _ 15,0 ათ. ლარი, ფაქტიური ხარჯი - 8,5 ათ. ლარი -56,7 %. დაკმაყოფილდა 34 განცხადება. ამ დროისთვის განუხილველი განცხადება არ გვაქვს.

უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სათბობი მასალით (შეშა) დახმარების გეგმა განისაზღვრა 10,0 ათასი ლარით. დახარჯულია 9,1 ათასი ლარი, ისარგებლა 36 ოჯახმა.

ახალშობილთა ოჯახების დახმარების გეგმა განისაზღვრა 18,0 ათ. ლარით. დახარჯულია 13,4 ათ. ლარი. შესრულება - 74,2 %. ისარგებლა 73 ახალშობილის ოჯახმა. განუხილველი განცხადება ამ დროისთვის არ გვაქვს.

გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა - 0,8 ათასი ლარი. დახარჯულია 0,5 ათასი ლარი. დაკმაყოფილდა 2 განცხადება.

სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების ქვეპროგრამაში დაზიანებულ სახლზე დახმარება გაიცა 70 მოქალაქეზე, სახურავის მასალით დახმარება გაიწია 135 დაზიანებულ სახლზე საქართველოს მთავრობის N 2400 განკარგულებით; ბინის ქირით უზრუნველყოფილია 17 მოქალაქე. სარეზერვო ფონდიდან ქვეპროგრამაზე მიმართულია 2,5 ათასი ლარი.

სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა- გეგმა განისაზღვრა 42,0 ათასი ლარით. დახარჯულია 19,8 ათასი ლარი. გეგმის შეუსრულებლობა განპირობებულია საგრანტო პროექტის თანხის აუთვისებლობით, რომელიც მთავრდება ოქტომბრის თვეში და მოხდება ანგარიშსწორება შესაბამისად.

გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამით დაგეგმილი 20,0 ათასი ლარიდან ათვისებულია 16,3 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხილულია 18 საქმე.

ომისა და სამხედრო ძალთა ვეტერანთა დახმარების ქვეპროგრამით გეგმა განისაზღვრა 15,0 ათ. ლარით. დაკმაყოფილდა 48 განცხადება და დაიხარჯა 11,7 ათ. ლარი. ამ დროისთვის განუხილველი განცხადება არ არის.

არასრულწლოვანთა დახმარების ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 30,0 ათასი ლარით, დახარჯულია 28,4 ათასი ლარი, მათ შორის 13,6 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერის და 14,8 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით.. ისარგებლა 22 ოჯახმა.

განვლილ ცხრა თვეში მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული 20 223.9 ათასი ლარიდან არაფინანსური აქტივების ზრდაზე გაწეულია 8 132,1 ათასი ლარი და ყველა დანარჩენ ხარჯებზე 12 052,8 ათასი ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე 2 209,7 ათასი ლარი; შტატგარეშე მომუშავეების ანაზღაურებაზე 657,6 ათასი ლარი; მივლინებებზე 14,6 ათასი ლარი; საოფისე ხარჯებზე 118,0 ათასი ლარი; წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურებაზე 3,1 ათასი ლარი; სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებაზე 929,8 ათასი ლარი; მუნიციპალიტეტისათვის სხვადასხვა სახის მომსახურეობის გაწევაზე 541,8 ათასი ლარი; ვალდებულებების საპროცენტო მომსახურებაზე 5,6 ათასი ლარი; სხვადასხვა სახის სუბსიდირებაზე 5 573,7 ათასი ლარი; საგრანტო მომსახურეობაზე 35,6 ათასი ლარი; სოციალურ უზრუნველყოფაზე 1 234,2 ათასი ლარი; სხვა ხარჯების, მათ შორის სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე 728,4 ათასი ლარი;